ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა
ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში

პროგრამაზე მიღების მოთხოვნები და შეფასების სისტემა

ერთიანი სამაგისტრო გამოცდა:
უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად და სახელოვნებო სწავლების სპეციფიკიდან გამომდინარე, სამაგისტრო პროგრამაზე „ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში“ ჩასაბარებლად მაგისტრანტობის კანდიდატს არ ესაჭიროება საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება.

შიდასაუნივერსიტეტო მოთხოვნები:

აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს:
1. შემოქმედებითი რეზიუმე
2. პორტფოლიო, რომელიც მოიცავს შემოქმედებითი საქმიანობის დასაბუთებას (ფოტო-ვიდეო მასალა, შესაბამისი ლინკები და ა.შ.).
3. სამოტივაციო წერილი

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა:
შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა მოიცავს 3 ეტაპს:
1. ინტერვიუ აპლიკანტთან, რომელიც მოიცავს სამოტივაციო წერილის, შემოქმედებითი რეზიუმესა და პორტფოლიოს განხილვას და რომლის დროსაც მოწმდება ინგლისური ენის ცოდნის დონე
2. შემოქმედებითი ტური
3. ჯგუფური გამოცდა რეჟისორებისა და მსახიობებისათვის

გამოცდის პირველი ეტაპის გადალახვის შემდეგ, აპლიკანტებს გაეწევათ კონსულტაცია შემოქმედებითი ტურისთვის.

1. ***<u>ინტერვიუ აპლიკანტთან</u>***

<u>რეჟისურის არჩევის შემთხვევაში:</u>
ინტერვიუ აპლიკანტთან ითვალისწინებს აპლიკანტის მოტივაციის, დარგობრივი ცოდნის,, კომუნიკაციის უნარისა და ხელოვნებაში ზოგადი განათლების შემოწმებას დარგობრივი კომისიის მიერ. ასევე ითვალისწინებს აპლიკანტის მიერ ინგლისური ენის ცოდნის შემოწმებას დარგობრივი ტექსტის წაკითხვისა და გაგების დონეზე.

<u>სამსახიობო ხელოვნების არჩევის შემთხვევაში:</u>
ინტერვიუ აპლიკანტთან ითვალისწინებს აპლიკანტის მოტივაციის, დარგობრივი ცოდნის,, კომუნიკაციის უნარისა და ხელოვნებაში ზოგადი განათლების შემოწმებას დარგობრივი კომისიის მიერ. ასევე ითვალისწინებს აპლიკანტის მიერ ინგლისური ენის ცოდნის შემოწმებას დარგობრივი ტექსტის წაკითხვისა და გაგების დონეზე.

2. *<u>შემოქმედებითი ტური</u>*

<u>რეჟისურის არჩევის შემთხვევაში:</u>

შემოქმედებითი ტური რეჟისორებისთვის ითვალისწინებს წერით გამოცდას, რომლისთვისაც მოსამზადებლად აპლიკანტებს საბუთების შემოტანის დროს გადაეცემათ 15 პიესის სია. ინტერვიუს ეტაპის დასრულების შემდეგ ის აპლიკანტები, რომელთაც გადალახეს შეფასების მინიმალური ზღვარი, მოწვეულ იქნებიან წერით გამოცდაზე. გამოცდისათვის 15 პიესიდან ფარული კენჭისყრით შერჩეული იქნება 3 პიესა. აპლიკანტი თავისი სურვილით შეარჩევს ერთ-ერთ პიესას და დაწერს სარეჟისორო ექსპლიკაციას. გამოცდისთვის გათვალისწინებულია 5 აკადემიური საათი.

<u>სამსახიობო ხელოვნების არჩევის შემთხვევაში:</u>

ინტერვიუს ეტაპის დასრულებისას იმ აპლიკანტებს, რომლებმაც გადალახეს შეფასების მინიმალური ზღვარი, გადაეცემათ დავალება შემოქმედებითი ტურისთვის, რომელიც მოიცავს ლიტერატურული მასალისა და ეტიუდის მომზადებას. ტური აგრეთვე, ითვალისწინებს აპლიკანტის დარგობრივი უნარ-ჩვევების (როგორიცაა, სმენა, პლასტიკა, მეტყველება, რითმიკა) შემოწმებას,

3. *<u>ჯგუფური გამოცდა რეჟისორებისა და მსახიობებისათვის</u>*

ჯგუფური გამოცდა ითვალისწინებს აპლიკანტების იმპროვიზაციის უნარის გამოვლენას ერთობლივი დავალების შესრულების გზით. დავალება იმ აპლიკანტებს, რომელთაც წარმატებით გადალახეს შემოქმედებითი ტური, მიეცემათ გამოცდაზევე. დავალების შესასრულებლად გათვალიწინებული იქნება 20 წუთი.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებს ატარებს დარგობრივი კომისია, რომელიც აფასებს:

1. ინტერვიუ აპლიკანტთან - 20 ქულა
2. შემოქმედებითი ტური - 50 ქულა
3. ჯგუფური გამოცდა რეჟისორებისა და მსახიობებისათვის - 30 ქულა

შეფასების სისტემა

<u>რეჟისურის მიმართულებით</u>

1. ინტერვიუ აპლიკანტთან	**მინიმალური ზღვარი**	**მაქსიმალური ქულა**
მოტივაცია	**2.5**	**5**
დარგობრივი ცოდნა	**2.5**	**5**
კომუნიკაციის უნარი / ინგლისური ენის ფლობა	**2.5**	**5**
ზოგადი განათლება ხელოვნებაში	**2.5**	**5**
ჯამი:	**10**	**20**
2. შემოქმედებითი ტური	**მინიმალური ზღვარი**	**მაქსიმალური ქულა**
პიესაში მთვარი თემისა და იდეის აქტუალურობა	**10**	**20**
გადაწყვეტის ორიგინალურობა	**10**	**20**
პიესის განაწილება	**5**	**10**
ჯამი:	**25**	**50**
3. ჯგუფური გამოცდა რეჟისორებისა და მსახიობებისთვის	**მინიმალური ზღვარი**	**მაქსიმალური ქულა**
იმპროვიზაციის უნარი	**2.5**	**5**

აუდიტორიასთან და ჯგუფში კომუნიკაციის უნარი	5.5	10
იდეის პრაქტიკული განხორციელების უნარი	8	15
ჯამი:	16	30
გამოცდის ყველა ეტაპის ჯამი:	**51**	**100**

<u>სამსახიობო ხელოვნების მიმართულებით</u>

1. ინტერვიუ აპლიკანტთან	**მინიმალური ზღვარი**	**მაქსიმალური ქულა**
მოტივაცია და კომუნიკაცია	2.5	5
დარგობრივი ცოდნა	2.5	5
კომუნიკაციის უნარი / ინგლისური ენის ფლობა	2.5	5
ზოგადი განათლება ხელოვნებაში	2.5	5
ჯამი:	10	20
2. შემოქმედებითი ტური	**მინიმალური ზღვარი**	**მაქსიმალური ქულა**
ლიტერატურული მასალის გააზრებისა და გადმოცემის უნარი	7.5	15
ორგანული მოქმედების უნარი	7.5	15
ეტიუდის შეთხზვის უნარი	5	10
დარგობრივი უნარ-ჩვევები (მეტყველება, პლასტიკა და რიტმიკა, სმენა)	5	10
ჯამი:	25	50
3. ჯგუფური გამოცდა რეჟისორებისა და მსახიობებისთვის	**მინიმალური ზღვარი**	**მაქსიმალური ქულა**
იმპროვიზაციის უნარი	2.5	5
აუდიტორიასთან და ჯგუფში კომუნიკაციის უნარი	5.5	10
იდეის პრაქტიკული განხორციელების უნარი	8	15
ჯამი:	16	30
გამოცდის ყველა ეტაპის ჯამი:	**51**	**100**